ირაკლი თოფურიძე
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ბაღდადში ალ-ჯარხაჯის ინსტიტუტის ისტორიიდან

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს ალ-ჯარხაჯის (ალ-ჩარხაჩი), ანუ ღამის გუშაგის ინსტიტუტის მიმოხილვას ბაღდადისა და მთელი ერაყის მემკვიდრეობაში. რას წარმოადგენდა ალ-ჯარხაჯი? ტერმინი თურქული (ოსმალური) წარმომავლობისაა (جرخه جي), რაც ნიშნავს მცველს, გუშაგს. ერაყულ რეალობაში ალ-ჯარხაჯი ღამის გუშაგად მოგვევლინა, რომლის მოვალეობაში შედიოდა ქალაქის ქუჩების ქვეითად პარტულირება და წესრიგზე ზრუნვა. XVIII საუკუნიდან მოყოლებული XX საუკუნის პირველი ორი დეკადის ჩათვლით ეს იყო ერთგვარი საპოლიციო შენაერთი, რომელიც სხვა საპოლიციო, იენიჩარულ და მამლუქთა შენაერთებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. ალ-ჯარხაჯის წინამორბედები ჯერ კიდევ ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას ზეობის პერიოდიდან გამოჩდნენ ასპარესზე. მათი აღმნიშვნელი ტერმინი იყო „ალ-ʿასასუ“ (العَسَسُ), რაც XVII-XVIII საუკუნეებში ქართულ რეალობაშიც გვხვდება. „ასასის“ ინსტიტუტი შუა საუკუნეების საქართველოში (ძირითადად აღმ. საქართველოში) გვხვდება. გარდა ტერმინის სემანტიკური მსგავსებისა, იდენტურია მისი პრაქტიკული მნიშვნელობაც. 1918 წელს ერაყში ბრიტანეთის მმართველობის დასაწყისში გამოიცა ერაყის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც ალ-ჯარხაჯის ინსტიტუტს „გენერალური მცველები“, „გენერალური გვარდია“ ეწოდა, ყველა თავისი უფლება-მოვალეობის შენარჩუნებით, ხოლო 1921 წელს ერაყის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ეს ინსტიტუტი გაუქმდა და შეუერთდა პოლიციის შენაერთებს.

საკვანძო სიტყვები: *ალ-ჯარხაჯი, ღამის გუშაგი, საქართველო, ბაღდადი, სამხედრო აღჭურვილობა, უსაფრთხოების სიმბოლო*

ალ-ჯარხაჯის (ალ-ჩარხაჩი), ანუ ღამის გუშაგის ინსტიტუტს დიდი ისტორია გააჩნია ბაღდადისა და მთელი ერაყის მემკვიდრეობაში. მკვლევართა გარკვეული ნაწილი ალ-ჯარხაჯის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ერაყის ბრიტანულ ოკუპაციას უკავშირებს, რაც მთლად მართებულად არ მიგვაჩნია, რადგანაც ტერმინი ალ-ჯარხაჯი XVIII საუკუნის არაბულ და ოსმალურ წყაროებში გვხვდება, სადაც აღწერილია ბაღდადის ცხოვრება „რამდენიმე ათეული წლის წინ“, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ ამ ინსტიტუტის უკვე არსებობა XVII საუკუნის შუა წლებში.

რას წარმოადგენდა ალ-ჯარხაჯი? ტერმინი თურქული (ოსმალური) წარმომავლობისაა (جرخه جي), რაც ნიშნავს მცველს, გუშაგს. ერაყულ რეალობაში ალ-ჯარხაჯი ღამის გუშაგად მოგვევლინა, რომლის მოვალეობაში შედიოდა ქალაქის ქუჩების ქვეითად პარტულირება და წესრიგზე ზრუნვა. XVIII-XIX საუკუნეებში ეს იყო

ერთგვარი საპოლიციო შენაერთი, რომელიც სხვა საპოლიციო, იენიჩარულ და მამლუქთა შენაერთებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. ალ-ჯარხაჯის სინონიმებად გვევლინება „ალ-ნუბაჯი“, ხოლო სამხრეთ ერაყში იგივე მოვალეობების შემსრულებელს უწოდებდნენ „ალ-ბასუნჯის“ (ბასვანჩი ოსმალურად). ასევე გვხვდება უკვე არაბული ტერმინი „ალ-ვაჰაშ“, ანუ „გარეული“, „მხეცი“, რადგანაც იგი ღამის წყვდიადში გამოდიოდა თავისი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად[1].

ალ-ჯარხაჯის წინამორბედები ჯერ კიდევ ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას ზეობის პერიოდიდან გამოჩდნენ ასპარესზე. მათი აღმნიშვნელი ტერმინი იყო „ალ-‘ასასუ“ (العَسَسُ), რაც არაბული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგნაირად არის ახსნილი: „ისინი, ვინც ღამით დადიან, იცავენ სახლებს, ეძებენ საეჭვო ადამიანებსა და ქურდებს“[2]. ერაყელი ღამის გუშაგიც იდენტურ მოვალეობას ასრულებდა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ერთ-ერთი რაიონის ღამის უსაფრთხოების უფროსს, ალ-მუხთარს ექვემდებარებოდა.

„ასასის“ ინსტიტუტი შუა საუკუნეების საქართველოში (ძირითადად აღმ. საქართველოში) გვხვდება. გარდა ტერმინის სემანტიკური მსგავსებისა, იდენტურია მისი პრაქტიკული მნიშვნელობაც. „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მოყვანილია შემდეგი ცნობა: „**ასასი** (არაბ. ასას — დარაჯი, მოთვალთვალე) — საპოლიციო ფუნქციების მქონე მოხელე ფეოდალურ საქართველოში. თვალყურს ადევნებდა წესრიგს ქალაქში, დარაჯობდა ღამით, მომხდარი ბოროტმოქმედების შესახებ მოახსენებდა ქალაქის მოურავს, რომელსაც უშუალოდ ემორჩილებოდა. მოურავი და ქალაქის მოხელეები ასასებისა და მათი უფროსების — ასასბაშების მეშვეობით ახორციელებდნენ თავიანთ ხელისუფლებას“[3]. ცნობებს ასასების შესახებ აგრეთვე ვხვდებით ე.თაყაიშვილის[4] და შ.მესხიას ნაშრომებში[5].

აღსანიშნავია ასევე საზოგადოების დამოკიდებულება ალ-ჯარხაჯის მიმართ. ერაყელი ავტორები ასე აღწერენ ღამის გუშაგებს: „ალ-ჯარხაჯი იყო სიმბოლო, რომელიც წარმოადგენდა უსაფრთხოებას. იგი იცავდა იმ ადამიანებს, რომლებიც დაიღალნენ დღის მუშაობის ტვირთით და მისი შედეგებით, რათა მშვიდად მოისვენონ და მიეცენ ძილს“[6]. არაერთ წყაროსა და კვლევებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღამის გუშაგები ძალიან დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ ბაღდადისა და ერაყის სხვა ქალაქების მოსახლეობის მხრიდან. ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ღამის გუშაგთა ინსტიტუტის არსებობის პერიოდში ალ-ჯარხაჯებზე შეიქმნა არაერთი თქმულება

---

[1] Akram ‘Abd ar-Razak al-Mashadani, *al-Charkhachi shiakhsiya ijtima‘iya* (Bahgdad: 2014), 27

[2] *Ta‘reef wa ma‘na al-‘asas fi mu‘jim al-ma‘na al-jami‘*
العَسَسُ: مَنْ يَطُوفُونَ بِاللَّيْلِ يَحْرُسُونَ البُيُوتَ وَيَكْشِفُونَ عَنْ أَهْلِ الرِّيبَةِ وَاللُّصُوصِ
https://www.almaany.com/ar/dict/ar-ar/%D8%A7%D9%84%D8%B9%D9%8E%D8%B3%D9%8E%D8%B3%D9%8F/

[3] ნადარეიშვილი გ., *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, (თბილისი: 1975), ტ. I, 625.

[4] თაყაიშვილი ე., *საქართველოს სიძველენი,* (ტფილისი: 1909), ტ. II, 528, პუნქტი 45 და 530, პუნქტი 22.

[5] Месхиа Ш.А., *Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв.,* (Тбилиси: 1959). 255 и 297

[6] Muhammad ad-Dulaimi., *Al-Huras al-Laili ramz al-Iman,* (Baghdad: 1984), 47.

თუ ანეგდოტი, რაც მოქალაქეთა მხრიდან ღამის გუშაგების მიმართ დადებით დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

ალ-ჯარხაჯის თანამდებობაზე მიღებას თავისი წესები გააჩნდა, რომლებსაც შედარებით მოგვიანებით, უკვე XX საუკუნეში რამდენიმე პირობა დაემატა. ღამის გუშაგად იღებდნენ მხოლოდ ორმოც წელს გადაცილებულ მამაკაცს, იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჯანმრთელი, ჰქონოდა კარგი რეპუტაცია, გამბედაობა, იცოდა კარგი მოქცევა, არ იყო ნასამართლევი ქურდობისათვისა და შეურაცხოფისათვის. დანიშნვაზე უპირატესობა ენიჭებოდათ მათ, ვინც ადრე მსახურობდა პოლიციაში, ჯარში, ან ციხეების მცველებში, რადგანაც მათ გააჩნდათ იარაღის გამოყენების გამოცდილება. ბრიტანული ოკუპაციის პერიოდში ამ პირობებს დაემატა პუნქტი, რომელიც მოითხოვდა მომავალი ღამის გუშაგისაგან ჯანმრთელობის ოფიციალურ ცნობას, რომელიც გაცემული იყო ლიცენზირებული ექიმის მიერ. ასევე ცნობას იმის შესახებ, რომ პრეტენდენტი დაბადებული იყო ერაყში და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ქვეყნის ფარგლებში. ალ-ჯარხაჯის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრებოდა ერთი დინარითა და სამას ორმოცდაათ ფილსად. ალ-ჯარხაჯის ეკრძალებოდა მისი იარაღის სახლში, ან სამუშაო იურისდიქციის მიღმა გატანა, ასევე დაუშვებელი იყო იარაღის მესამე პირისთვის გადაცემა, რათა მას მიეტანა იგი ღამის გუშაგის უშუალო უფროსთან ალ-მუხთართან განყოფილებაში ჩასაბარებლად. უკვე ბრიტანული ოკუპაციის დროს ალ-ჯარხაჯის ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები არ მიიღებოდნენ ღამის გუშაგის თანამდებობაზე. ღამის გუშაგების იარაღი დღის განმავლობაში ინახებოდა შესაბამისი რაიონის ალ-ჯარხაჯის განყოფილებაში. განყოფილების უფროსი, ალ-მუხთარი მზის ჩასვლამდე ურიგებდა ღამის გუშაგებს იარაღს, ამოწმებდა გამართულია თუ არა იგი და შესაბამის რეესტრში შეჰქონდა გაცემული იარაღის, აღჭურვილობისა და ღამის გუშაგის მონაცემები. იარაღისა და აღჭურვილობის დაბრუნების შემდეგ, ალ-მუხთარი ამოწმებდა მონაცემებს და იარაღისა და აღჭურვილობის დაკარგვა-დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლიც იწყებდა გამოძიებას[7].

ალ-ჯარხაჯის აღჭურვილობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მის შეიარაღებაში თავდაპირველად შედიოდა ხმალი, ხანჯალი და დოლი. ამ უკანასკნელს ღამის გუშაგი იყენებდა ქურდების დასაფრთხობად და მისი ახლომდებარე კოლეგისათვის სიგნალის მისაცემად, რომ იგი ახლო-მახლო პატრულირებს. ღამის გუშაგებს ეცვათ ხაკისფერი პერანგი და ხაკის შარვალი. სეზონის შესაბამისად ეცვათ ხაკის ქურთუკი, მსუბუქი ფეხსაცმელი. თავზე ებურათ თეთრი შამაღი, რომელიც ბრიტანული მმართველობის პერიოდში წითელი ფერის შამაღით შეიცვალა. XIX საუკუნის ბოლოდან ვიდრე ალ-ჯარხაჯის ინსტიტუტის გაუქმებამდე ღამის გუშაგების აღჭურვილობა შეიცვალა. ღამის გუშაგის ხმალი ოსმალური (მოგვიანებით ინგლისური) თოფით შეიცვალა, მიეცა ქამარზე ჩამოსაკიდი ტყავის პატარა ყუთი, სადაც ხუთი ტყვია იყო მოთავსებული და დოლი შეიცვალა სასტვენით, რომელსაც ღამის გუშაგი პიჯაკის ჯიბით ატარებდა. პარატა ხანჯალი ასევე ქამარზე იყო დამაგრებული. ძალზე იშვიათად ალ-ჯარხაჯი ღამის პატრულირებაზე ვირზე ამხედრებული გადიოდა[8]. 1918 წლამდე ღამის გუშაგებს

[7] *Dirasat shakhsia al-huras al-lailin wa tarikhahum wa ahwalahum* (Baghdad, Wizara ad-dakhilia; 1993), 136

[8] Muhammad Isma'il, *Haris az-zalam allazi yusamir al-ashbah* (al-Musil: 2010), 81-82

სამსახურეობრივი ტანსაცმელი უფასოდ ურიგდებოდათ, ხოლო შემდგომ პერიოდში ალ-ჯარხაჯის თვითონ უნდა შეეძინა ხაკისფერი შარვალი, პიჯაკი სპილენძის ღილებით, ფეხსაცმელი. ბრიტანეთის მმართველობის პერიოდში ღამის გუშაგებმა მიიღეს დამახასიათებელი ხუთვარსკვლავიანი ნიშანი, რომელსაც ან თავსაბურავზე, ან მკერდზე იკეთებდნენ და ასევე წრიული ჟეტონი ნომრით[9].

როგორც ზემოთ ითქვა ალ-ჯარხაჯის მოვალეობაში შედიოდა ქალაქის ქუჩებისა და ჩიხების ღამე პატრულირება. მისი მოვალეობების შესრულება იწყებოდა ღამის თორმეტი საათიდან და გრძელდებოდა დილის ექვს საათამდე. მთლიანად აღჭურვილი ღამის გუშაგი ქუჩაში გადიოდა და მიდამოებს აკვირდებოდა. ის უნდა დარწმუნებულიყო, რომ სახლების და დუქნების კარი ჩაკეტილი იყო. დოლზე ჯოხის დარტყმით, ხოლო შემდგომში სასტვენის გამოყენებით იგი უკავშირდებოდა მის მახლობლად მყოფ სხვა გუშაგს, რითაც ატყობინებდა, რომ მის დაქვემდებარებულ რაიონში სიმშვიდეა. იმ შემთხვევაში, თუ ალ-ჯარხაჯი წააწყდებოდა რაიმე საფრთხეს ან პრობლემას, იგი სამჯერ ჩაბერავდა სასტვენს, რითაც მის კოლეგას თავისთან მოუხმობდა. დოლით, შემდგომში სასტვენით, ხანდახან ყვირილითაც კი ღამის გუშადი აფრთხობდა ღამის ქურდებს, ქურდობის შემთხვევაში ედევნებოდა მათ. ერაყის ქალაქებში ქურდობის პიკი ძირითადად წელიწადის ცხელ პერიოდზე მოდიოდა, როდესაც სიცხისაგან გათანგულ მოსახლეობას თავიანთი სახლების სახურავზე ეძინა და სახლში არავინ იყო. ასევე ალ-ჯარხაჯი აღვიძებდა იმ მოქალაქეებს, რომელთაც სახლში ან დუქნებში შუქი ჰქონდათ დარჩენილი. არსებობს არაერთი დოკუმენტირებული მოგონება ბაღდადელი ღამის გუშაგებისა, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში იქნა ჩაწერილი და გამოცემული[10]. გარდა საკუთარი პირდაპირი მოვალეობების შესრულებისა, ალ-ჯარხაჯი ერთგვარ ჰუმანიტარულ მისიებსაც ასრულებდა: იგი არ იზარდებდა მოსახლეობის დახმარებას უბედური შემთხვევების დროს, იქნებოდა ეს წყალდიდობა, ხანძარი, თუ ავადმყოფობა, თუ რომელიმე სახლის კარი ჩაკეტილი იყო და ოჯახის წევრი გვიან მიდიოდა სახლში, ალ-ჯარხაჯი აღვიძებდა ოჯახის სხვა წევრებს, რათა დაგვიანებული სახლში შეეშვათ. ღამე პატრულირებისას აკაკუნებდა სახლების კარებზე და შესაბამის დღეებში მოქალაქეებს სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს ულოცავდა. სანაცვლოდ მოქალაქეები ღამის გუშაგს ცოტაოდენი საჭმლით, ტკბილეულობით და ხანდახან მცირე თანხითაც ასაჩუქრებდნენ. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ალ-ჯარხაჯი სახლის გზის გაგნებაში და სახლამდე მისვლაში ეხმარებოდა მთვრალ ბაღდადელებს, რომლებიც სხვადასვა წვეულებიდან გვიან ღამე ბრუნდებოდნენ სახლში. ამ და სხვა თვისებების გამო ბაღდადის მოსახლეობა ძალიან აფასებდა ქალაქის ღამის გუშაგებს, რომლებიც არა მარტო ბაღდადის, არამედ თითქმის მთელი ერაყის ქალაქების კულტურულ მემკვიდრეობად არის აღიარებული[11].

1918 წელს ერაყში ბრიტანეთის მმართველობის დასაწყისში გამოიცა ერაყის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სადაც ალ-ჯარხაჯის ინსტიტუტს „გენერალური მცველები“, „გენერალური გვარდია“ ეწოდა, ყველა თავისი უფლება-

---

[9] *Dirasat shakhsia al-huras al-lailin,* 140

[10] Muhammad al-Husaini, *Safiruhu fi al-lail yutma'inu al-kulub* (Dar ad-dustur: 2009), 31

[11] 'Abd al-llah al-Mukhtar, *(Al-Jarkhaji) Safaratuhu tudawi fi al-azika* (Majala Al-Hayat, Baghdad: 2011), 48

მოვალეობის შენარჩუნებით, ხოლო 1921 წელს ერაყის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ეს ინსტიტუტი გაუქმდა და შეუერთდა პოლიციის შენაერთებს.

გამოყენებული ლიტერატურა - References

1. თაყაიშვილი ე. *საქართველოს სიძველენი.* ტ. II. ტფილისი, 1909.
2. ნადარეიშვილი გ. *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. I. თბილისი, 1975.
3. Месхиа Ш.А. *Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв.* Тбилиси, 1959.
4. Isma'il, Muhammad. *Haris az-zalam allazi yusamir al-ashbah.* al-Musil, 2010.
5. Ad-Dulaimi, Muhammad. *Al-Huras al-Laili ramz al-Iman.* Baghdad, 1984.
6. Al-Husaini, Muhammad. *Safiruhu fi al-lail yutma'inu al-kulub.* Dar al-dustur: 2009.
7. Al-Mukhtar, Abd al-llah, *(Al-Jarkhaji) Safaratuhu tudawi fi al-azika.* Majala Al-Hayat, Baghdad, 2011.
8. Al-Mashadani, Akram 'Abd ar-Razak. *al-Charkhachi shiakhsiya ijtima'iya.* Bahgdad, 2014.
9. *Dirasat shakhsia al-huras al-lailin wa tarikhahum wa ahwalahum.* Baghdad: Wizara ad-dakhilia, 1993.
10. *Ta'reef wa ma'na al-'asas fi mu'jim al-ma'na al-jami'* https://www.almaany.com/ar/dict/ar-ar/%D8%A7%D9%84%D8%B9%D9%8E%D8%B3%D9%8E%D8%B3%D9%8F/